დამტკიცებულია:
ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის
სახელობის გალობის უნივერიტეტის“
სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების
2024 წლის 18 მარტის №01 გადაწყვეტილებით

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდეგში - „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანო, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებრე დებულებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.
2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იუიდიულ პირს.
3. სტუდენტური თვითმმართველობა არაპოლიტიზირებულია.
4. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით არჩეული დელეგატებისგან.
5. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.
6. სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, ზ.ანჯაფარიძის ქ. №21. მეხუთე სართული, უნივერსიტეტის აუდიტორია აუდიტორია №7.

მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინები

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უნივერსიტეტი - ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი“;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდების განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამის გასავლელად;

გ) სტუდენტური თვითმმართველობა - უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომაგენლობითი ორგანო;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;

ე) ფაკულტეტი - უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ, ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

ვ) ფაკულტეტის საბჭო - უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან;

ზ) საერთო კრება - სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის სტუდენტებისგან არჩეული დელეგატებისაგან;

თ) პრეზიდენტი - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;

ი) დებულება - სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

   ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

   ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;

   გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;

   დ) დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;

   ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;

   ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონის და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას;

   ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა შრომითი მოღვაწეობის, ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

2. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

   ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში;

ბ) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

დ) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

ე) გააჩნია კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;

ვ) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის სტუდენტთა საერთო კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით ფარული კენჭისყრით არჩეული სტუდენტი.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ ¼, რაც შეადგენს სამ წევრს. ფაკულტეტის საბჭოს წევრ სამ სტუდენტს ირჩევენ სტუდენტური თვითმმართველობიდან სტუდენტთა საერთო კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით ფარული კენჭისყრით.
3. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.
4. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებს.
5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული დელეგატების პირველი შეკრებისთანავე.
6. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

   ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები მუშაობაში;

   ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

   გ)დაიკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი თანამდებობა;

დ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს;

ე) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;

ვ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

ზ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

7. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებისა და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.

8. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობის დაკავება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შეჩერება;

დ) უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ან ამ დებულებით გათვალისწინებული წესის/წესების დარღვევა;

ე) არასაპატიო მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ ერთი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ) გარდაცვალება.

9. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში დარჩენილი ვადით, მის ადგილს იკავებს პირი, რომელმაც უკანასკნელ არჩევნებში მიიღო ხმათა მეტი რაოდენობა, თანაბარი ხმების მქონე პირთაგან თვითმმართველობის დელეგატი შეირჩევა საერთო კრების მიერ წილისყრით. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები უფლებამოსილებაშეწყვეტილი დელეგატის დარჩენილი ვადით შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
გ) სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა.
3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება შედგება სტუდენტურ თვითმმართველობის დელეგატებისაგან.
4. გამგეობა სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა, რომელის შემადგენლობაშიც შედის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით არჩეული 3 დელეგატი.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრება

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება წელიწადში ოთხჯერ.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:
   ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;
   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატების არანაკლებ 1/4 -ის მოთხოვნით.
3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:
   ა) სრული შემადგენლობის 2/3 - ის უმრავლესობით იღებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, ამავე უმრავლესობით შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
   ბ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;
   გ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტს;
   დ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს საერთო კრების მდივანს.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის

საფუძველზე. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების არანაკლებ 1/4 -ს.

3. იმ შემთხვევაში თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისათვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება მეორე ტური, რომელშიც კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგების მქონე ორ კანდიდატს.
4. იმ შემთხვევაში თუ მეორე ტურშიც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.
5. იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისათვის ხმათა საკმარის რაოდენობას, ხუთი დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.
6. სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი, რომელიც არის საქართველოს ქმედუანარიანი მოქალაქე, არ იკავებს უნივერსიტეტში რაიმე ადმინისტრაციულ, ან დამხმარე თანამდებობას და არ არის ნასამართლევი.
7. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
8. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

   გ) მოქალაქეობის დაკარგვა;

   დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

   ე) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

   ვ) გარდაცვალება;

   ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
9. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი, ან პრეზიდენტის მიერ დასახელებული სხვა დელეგატი.
10. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან\და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1\3-ს შეუძლია დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა. საერთო კრება 10 დღის ვადაში განიხილავს დარღვევებს და კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების საერთო შემადგენლობის არანაკლებ 2\3.
11. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

    ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

    ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებასა და უძღვება მის სხდომებს;

    გ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

დ) ხელს აწერს საერთო კრების სამართლებრივ აქტებს;

ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს იურიდიულ დოკუმენტებს;

ვ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;

ზ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას;

თ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა პირები დაკავებული თანამდებობიდან;

ი)კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

კ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ქმნის კომისიებს, რომლის წევრებსა და თავმჯდომარეებს ნიშნავს თავად;

ლ) თავისი კომპეტენციით მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს განკარგულებებს;

მ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

12. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ;

ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის წევრების კანონიერი მოთხოვნები.

13. უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით პრეზიდენტს ჰყავს ვიცე-პრეზიდენტი.

14. პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელი მოაწეროს და გააფორმოს ოფიციალური ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები.

მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. დებულება ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.
2. დებულებაში ცვლილებები და დამატებები შევიდეს საერთო კრების მიერ.
3. დებულებას ხელს აწერს თვითმმართველობის პრეზიდენტის.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ---------- /მ.მაისურაძე/